ცნობის ფურცელი

№ 2031 შაბათი, 4 იანვარი **1896—1903** ყოველ-დღიური გამოცემა № 2031

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372

მიიღება ხელის მოწერა **1903** წლისათვის

ყოველ დღიურ გაზეთ

„ცნობის ფურცელ"-ზე

სურათებიანის დამატებით კვირაში ორჯელ

(წელიწადი მერვე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიასა და რუსეთში: 1 წლით—6 მ., 6 თვით—4 მ., 1 თვით—75 კ.

საზღვარ-გარედ: 1 წლით—9 მ., 6 თვით—5 მ., 1 თვით—90 კ.

წლიურ ფასის განაწილება: ხელის-მოწერისათანავე 4 მან., დანარჩენიც 1-ლ მარტამდე.

ყოველ თვიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალ

„მოამბე"-ზე

(წელიწადი მეათე)

ფასი ჟურნალისა

კავკასიასა და რუსეთში: 1 წლით—10 მ., 6 თვით—6 მ. 3 თვით—3 მ.

საზღვარ-გარედ: 1 წლით—13 მ., 6 თვით—7 მ., 3 თვით—5 მ.

ვინც „**მოამბეს**" მთელის წლით გამოიწერს, **სურათებიანი დამატებანი** და „**ცნობის ფურცელი**" უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მან., რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი.

წლიურ ფასის განაწილება: პირველად—6 მ. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მ., 1-ლ აგვისტომდე დანარჩენი.

როგორც „ცნობის ფურცლის", ისე „მოამბის" ხელის-მომწერთ პრემიად გაეგზავნებათ

შოთა რუსთაველის

ახალი სურათი,

წიგნ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის საფოტოტიპიოში დამზადებული. სურათი ზომით 9×12 ვერშოკი იქმნება. ქალაქ გარედ ხელის მომწერთ 30 კაპეიკი უნდა წარმოუდგინონ რედაქციას სურათის გასაგზავნად. ეს სურათი ცალკე 1 მან. 50 კაპ. ღირება.

მომავალ წელს „**მოამბე**"-ში, სხვათა შორის, დაიბეჭდება რუსთა შესანიშნავ მწერლის **ლ. ნ. ტოლსტოის** რომანის „ვოინა ი მირ"-ის თარგმანი, „რომის ისტორია" და სხვა.

რედაქცია და **კანტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე. **ტელეფონი № 372.**

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Моамбе" и „Цнобисъ-Пурцели".

საბედნიერო დღეოდ იყიდება

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ფარმაცევტთა ამხანაგობის

მაღაზიაში

(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სევერნი ნომრების" ქვეშ).

შობის ხის სრული მორთულობა ცალკე ყუთებით თითო 4, 5, 6, 7, 8, 10 15 მანეთიანი. აგრეთვე მრავალგვარი საპირფარეშო სამკაული, თმის და თვალ-წარბის საღებავი, კოსმეტიკა პარფიუმერია (დუხი, ოდეკოლონი, ხელის საპნები და სხვ. და სხვ. კეთილ სურნელოვანება).

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ Товарищество фармацевтовъ.

ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ Фармацевтика. (10—9)

ტელეფონი № 741

ტელეფონი № 741

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 9—10 საათამდე.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. ქამოეთი.—საშარდეს (ხირურგიული), ავადმყოფობისათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვების და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ვ. ვ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 კვირაობით 10—11.

ა. ზ. ბარს[illegible]ოვი—ქალთა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთ[illegible]ათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

ზ. ვ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანის და საშარდესი 1—2 საათამდე.

ზრ. ვ. ხობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.) მასვე და საქალთა გიმნასტიკა", ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 6 ს.—8 საათ. საღამოს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და ლარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანათიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, №-21. (აგზალის ქუჩის დასაწყისში).

ტელეფონი № 274 (წ.)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—3-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.)

ექიმი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავადმყოფებს დილის 11—12 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642.

ორშაბათს, 6 იანვარს, 1903 წელს,

ტფილისის «კრუჟოკის» დარბაზში

გამართული იქნება

მეჯლისი (ბალი)

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის სასარგებლოდ.

ბილეთის ფასი 2 მან. და 10 კ.

ქალთათვის გულ-ამოჭრილი კაბა სავალდებულო არ არის. სამხედრო კაცთათვის ჩვეულებრივი ტანისამოსი და დანარჩენთათვის ფრაკი და ნაციონალური ტანისამოსი.

დასაწყისი საღამოს 10 საათზე.

ბილეთები იყიდება „კრუჟოკის" შვეიცართან. (8—5)

რუსულ პრესსის დღესასწაული

—

2 იანვარს შესრულდა 200 წელიწადი, რაც რუსული პრესსა არსებობს. 200 წელიწადი საკმაო დიდი ხანაა ჟურნალ-გაზეთების არსებობისათვის, დიდი და მძიმე ხანაა, მით უმეტეს ისეთ შეხუთულ პირობებში, როგორშიაც რუსულ პრესსას არგუნა ბედმა ცხოვრება.

პირველი გაზეთი გამოვიდა 1703 წ. 2 იანვარს, შესანიშნავის რეფორმატორის პეტრე დიდის ბრძანებით. პეტრე დიდის გამჭრიახმა ჭკუამ კარგად შეიგნო, რომ მის რეფორმებისათვის მაშინდელ საზოგადოებაში თანაგრძნობის მოსაპოვებლად გაზეთს შეუძლია კარგი სამსახური გასწიოს. პეტრე დიდი არ შესცდა: ახლად დაბადებულმა პრესსამ პირველ ხანებშივე დიდი სამსახური გასწია მაშინდელ აზიურ საზოგადოებაში ახალ, ევროპიულ, აზრების გასავრცელებლად. იმ ხანებში უმთავრესი მნიშვნელობა ჟურნალებს ჰხვდა წილად. ეკატირინე დიდის დროს, მაგალითად, რამდენიმე ლიტერატურული და სატირიული ჟურნალი არსებობდა, რომელნიც თანამედროვე ცხოვრების ყოველ მხარეს კრიტიკულად იხილავდნენ და დახავსებულს საზოგადოებას უფრო კულტურულ ცხოვრების იდეებსა და აზრებს უზიარებდნენ. მაგრამ მაშინდელი პრესსა პოლიტიკური არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო: რუსული ცხოვრება მეტად მარტივი იყო; საზოგადოება იმ აზრით, როგორც ახლა გვესმის ეს სიტყვა, მაშინ არ არსებობდა; ერთ მხარეზე იდგა ყოვლად მძლავრი ბიუროკრატია, მეორე მხარეზე—ყოველს უფლებას მოკლებული ერი; ესეც ორ ბანაკად იყოფებოდა—ბატონებად და ყმებად; მთელი ცხოვრება ბატონ-ყმობის წესზე იყო აგებული და სხვა-და-სხვა ელემენტთა შორის ბრძოლა არ არსებობდა; ერთი სიტყვით, ეს იყო ნამდვილი აზიური სახელმწიფო, რომლის საძირკველი ბატონ ყმობა იყო, ხოლო კედლები ბიუროკრატია. ასეთს საზოგადოებაში პოლიტიკური პრესსა როგორ დაარსდება ან რას გააკეთებს?! ასეთს პირობებში პრესსას უფრო ლიტერატურული ხასიათი და კულტურული მნიშვნელობა აქვს და ამ მხრით, რასაკვირველია, ძალას წარმოადგენს, როგორც ახალ იდეალებისა და მოწინავე აზრების გამავრცელებელი.

სწორედ ასეთი მნიშვნელობა ჰქონდა რუსულს ჟურნალ-გაზეთობას თითქმის ერთსა და ნახევარ საუკუნოების განმავლობაში—პეტრე დიდის დროდან ალექსანდრე მეორეს მეფობამდე. მხოლოდ ნიკოლოზ პირველის დროს შეემჩნევოდა პრესსას დიფერენციაცია. მაშინ მკრთალად ალიბეჭდა საზოგადოებრივ აზრთა სხვა და-სხვაობა; მაშინ უკვე შეიძლებოდა გარჩევა ორის მიმართულებისა, რომელნიც შემდეგ ნათლად გამოირკვნენ: „სლავიანოფილთა" და „ზაპადნიკთა", პირველი—სლავიანთა თვითარსებობაში (самобытность) ეძებდა შველას, მეორე—დასავლეთ ევროპის ცხოვრებას სახავდა მაგალითად; პირველი—კონსერვატიზმის, თუმცა თავისებურ კონსერვატიზმის, წარმომადგენელი იყო, მეორე—ლიბერალიზმისა. იმავე დროს არსებობდა ნამდვილი რეაქციონური პრესსა, რომელიც მტრად გადაეკიდა ყოველს ახალს იდეასა და ცვლილებას.

პრესსის ეს გაცხოველება მოასწავებდა უკვე საზოგადოების ზრდასა და ბევრად თუ ცოტად პოლიტიკურ სიმწიფეს. საზოგადოების საუკეთესო ნაწილს უკვე შემუშავებული პროგრამმა ჰქონდა რეფორმებისა, რომელთაგან ბატონ-ყმობის მოსპობა ძირითად მოთხოვნად გადაიქცა. ამ რეფორმის გამო დაიბადა საზოგადოებრივი ბრძოლა და პრესსამ, რა თქმა უნდა, პირველი ადგილი დაიჭირა ამ ბრძოლაში. სწორედ ამ დროს ეკუთვნის სხვა-და-სხვა სალიტერატურო წრეებისა და ახალ პერიოდულ გამოცემათა დაარსება. იმ დროსვე გაუძნელდა პრესსას სიცოცხლე. მაშინდელი მთავრობა, დაშინებული მთელს დასავლეთ ევროპაში მომხდარ 48 წლის რევოლიუციით, ეჭვის თვალით უყურებდა ჟურნალ-გაზეთობას და დაუწყო სასტიკი დევნა. მაშინდელი საცენზურო პირობები საარაკო გახდა და პრესსას სული ეხუთებოდა მაგარ მუხრუჭისაგან...

მაგრამ, მალე დაჰბერა ახალ დროის სიოშ და სურათი უეცრივ შეიცვალა. რუსეთის ისტორიაში მეორე დიდმა რეფორმატორმა—ალექსანდრე მეორემ—განიზრახა და განახორციელა რამდენიმე დიდმნიშვნელოვანი რეფორმა, რომელთა მოხდენას ისტორია მოითხოვდა და, ცხოვრების განახლებასთან ერთად, განახლდა და გაცხოველდა პრესსაც. მე-60 წლებიდან იწყება ახალი ხანა რუსულის პრესსისა; ამ დროდან ის იწყებს ახალ მისსიის აღსრულებას, ესე იგი, ხდება პოლიტიკურ ძალად და ემსახურება ცხოვრებაში მებრძოლ სხვა-და-სხვა ელემენტებსა და მიმართულებათ. 1864 წელს, ცოტა არ იყოს, გაწესრიგდა მისი მდგომარეობაც ახალის საცენზურო წესდების გამოცემით და პრესსამ სული მოითქვა, წინა დროსთან შედარებით, რასაკვირველია. მე-60 და მე-70 წლები ამ მხრით ჩაითვლება საუკეთესო ხანად რუსულ პრესსის ისტორიაში. მაშინ დაარსდა და გამოდიოდა საუკეთესო და საზოგადოებაში გავლენიანი ჟურნალ გაზეთი, როგორც, მაგალითად: „სოვრემენნიკ", „რუსსკოე სლოვო", „სლოვო", „დელო", „ოტეჩესტვ. ზაპისკი", „მოსკოვ. ვედომ". (პირველი ხანისა), „გოლოს", „პორიადოკ", „უსტოი", „მოსკოვ. ტელეგრაფ" და სხვანი. ჟურნალ-გაზეთში თავი მოიყარეს საუკეთესო მწერლებმა და იქ ქადაგებდნენ თავიანთ მოწინავე აზრებსა და ასე თუ ისე ემსახურებოდნენ ცხოვრებაში ნათლად აღბეჭდილ მიმართულებათ.

შემდეგ რუსეთის ცხოვრებაში, სხვა და სხვა მიზეზებისა გამო, დაიწყო რეაქცია და პრესსის „ნათელი დღეებიც" წარვიდნენ. ამ ჟამად თუმცა ჟურნალ-გაზეთების რიცხვი საკმაოა, მაგრამ ის ცხოველმყოფელი ძალა აღარ აქვთ, რომელიც უნდა ჰქონდესთ. ამიტომაცაა, რომ დღეს ყველა გაზეთები თვით „ნოვ. ვრემია"-დან დაწყებულნი თხოულობენ პრესსის მდგომარეობის გაუმჯობესებასა და მის უფლების გაფართოვებას. მისი მდგომარეობა დღეს იმდენად უნუგეშოა, რომ თითქმის ყველა რიგიანი გაზეთი ერთხმად ამბობს: სადღესასწაულო არაფერი გვაქვსო და ღირსშესანიშნავმა იუბილეიმ ჩვენთვის მნიშვნელობა დაჰკარგაო.

თუმცა ეს ასეა, მაგრამ რუსულ პრესსის ღვაწლს, ნამეტურ წარსულში, ვერავინ ვერ უარჰყოფს. დიდი და ეკლიანი გზა განვლო მან, ბევრი ტანჯვა-ვაება დაატყდა თავს და სწორედ ამ ტანჯვისათვის არის ის პატივსაცემი. ვულოცავთ-რა ჩვენს უფროსს მოძმეს ამ ღირსშესანიშნავ დღეს, მასთან ერთად ვაცხადებთ იმედს, რომ შორს აღარ არის

ის დრო, როდესაც რუსულ პრესსასაც შეეძლება გამოიჩინოს ის ცხოველმყოფელი ძალა, რომელიც გამოიჩინა უფრო განათლებულ და მოწინავე ერების პრესსამ.

საზღვარ-გარედ

იაპონია და ჩინეთი. ფრანგულ გაზეთ „ჟურნალ დე დება“-ში საყურადღებო წერილი იყო დაბეჭდილი ჩინეთ-იაპონიის დამოკიდებულების შესახებ. წერილმა მიიპყრო მთელი ევროპის პრესის ყურადღება.

იაპონია და ჩინეთი თან-და-თან უახლოვდებიან ერთმანერთს, რომ წინააღმდეგობა გაუწიონ ევროპიელ სახელმწიფოების პოლიტიკას შორე-აღმოსავლეთში. იაპონიამ მოახერხა და შეიძინა ნდობა ჩინელ პოლიტიკურ მოღვაწეებისა და შორს არ არის ის დრო, როცა ამ ორ სახელმწიფოს დაახლოვება თავის ნაყოფს მოიტანს.

ჯერ კიდევ იმ დროს, როცა ჩინეთში დიდი არეულობა იყო და „მოკავშირეთა“ ჯარები მძვინვარებდნენ, იაპონელი ჯარის-კაცები შედარებით თავ-დაჭერილად და ლმობიერად იქცეოდნენ. 1901 წლიდან იაპონელ გენერალ ფუკუშიმას მეცადინეობით დაიწყეს იაპონელ სკოლების გახსნა ჩინეთის პროვინციებში. უკანასკნელ დროს ამ სკოლების რიცხვი მეტად გაიზარდა თურმე. ამას მოჰყვა ჩინელ ახალ-გაზდობის იაპონიაში წასვლა სხვა-და-სხვა გვარ განათლების მისაღებად.

რუსეთის მომხრე ლი-ხუნ-ჩანგის სიკვდილის შემდეგ იაპონიის გავლენა ჩინეთში ერთი-ორად გაიზარდა: ბევრი ჩინელი პოლიტიკური მოღვაწე აშკარად თხოულობდა ჩინეთ-იაპონიის უფრო მჭიდრო დაახლოვებას და დაკავშირებას. 1902 წლის აპრილში გენერალი ტამუს გაჰგზავნეს პეკინში ჩინელ ჯარების რეორგანიზაციისათვის გენერალს თან აფიცრები ახლდა და ჩინეთის მთავრობას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა მათთვის ჯამაგირის დანიშვნა, მაგრამ რუსეთის წარმომადგენლის მეცადინეობით საქმე შეფერხდა. რადგან აშკარად საქმის განგრძობას რუსეთი ყოველთვის წინაღუდგებოდა, ამიტომ ფარული მოქმედება არჩიეს. ჩინეთში გაჩნდნენ იაპონელი აფიცრები, ვითომდა მოგზაურობისა და ქვეყნის გაცნობისათვის, ნამდვილად კი პროვინციის მმართველებთან შევიდნენ სამსახურში და ჯარების წვრთნას შეუდგნენ.

1902 წლის ივნისში ხუპეის გუბერნატორის თხოვნით იაპონიის მთავრობამ გამოჰგზავნა სამეურნეო და სახელოსნო სკოლაში კურს-დამთავრებული ახალგაზდები. ეხლა ხან ასი იაპონელი სტუდენტი წავიდა ჩინეთში ჩინურ ენისა და ადგილობრივ გარემოებათა შესასწავლად. მარტო ქ. ტოკიოში ექვსასზე მეტი ჩინელია სხვა-და-სხვა სასწავლებლებში და დღითი-დღე ეს რიცხვი იზრდება.

მოსწავლეების გარდა, იაპონიაში სცხოვრობს ბევრი ჩინელი ემიგრანტი, რომელთაც იაპონიის მთავრობა ფულით ეხმარება. ეს ემიგრანტები ჩინეთის რეფორმის პარტიას ეკუთვნიან და, როცა მათ ხელში იქმნება ჩინეთის მართვა-გამგეობის საქმე, იაპონიის გავლენა კიდევ უფრო გაიზრდება.

ევროპიელებისაგან შევიწროვებული ჩინეთი იაპონიასთან დაახლოვებით სცდილობს თავის საქმის გამობრუნებას და იაპონიაც შეგნებულად აძლევს მხარს გაჭირვებულ მეზობელ სახელმწიფოს, რომ მით უფრო მეტის სიადვილით შეასრულოს თავის ისტორიული მისია—აზია აზიელების გახადოს.

მაკედონია. გაზეთების სიტყვით, ევროპის სახელმწიფოების წარმომადგენელთ კონსტანტინეპოლში იმედი აქვთ, რომ ოსმალეთის მთავრობა ენერგიულად შეუდგება რეფორმების განხორციელებას მაკედონიაში. ამ მოკლე დროში მაკედონიაზე ულაპარაკნია სულთანთან მარტო ინგლისის ელჩს და ეს ლაპარაკი მეტად მტკიცე და ენერგიული ყოფილა. ხსენებულ ელჩს პირდაპირ უთქვამს სულთანისათვის, რომ მისი (სულთანის) მდგომარეობა მეტად კრიტიკული არის.

— აუცილებელი საჭიროებაა, მაკედონიაში შემოღებულ იქმნეს რადიკალური, საბოლოო რეფორმები; წინააღმდეგ შემთხვევაში, ვინ იცის, რა არ არის მოსალოდნელი.

— ეს მეც ვიცი, უთქვამს სულთანს,— მაკედონიის ავტონომიაზე ლაპარაკობენ...

— ხელმწიფევ, დღეს ავტონომიაზე ლაპარაკობენ, ხვალ მაკედონიის ჩამორთმევაზე დაიწყებენ ლაპარაკს. და მართლაც ჩამოგართმევენ მაკედონიას, თუ თქვენ არ მოიქცევით ისე, რომ თავიდან აიშოროთ ეს უბედურება.

სულთანი მეტად შეშინდა თურმე ამ სიტყვების გაგონებაზე და მეორე დღესვე ახალი ცირკულიარული ბრძანება გაუცია.

მაგრამ მარტო ქაღალდზე დაწერილ ბრძანებით როდის გაკეთებულა საქმე, რომ ეხლა გაკეთდეს.

◆ როგორც სჩანს, რუსეთი და ავსტრია შეთანხმებულან იმ რეფორმების შესახებ, რომელიც ოსმალეთის მთავრობას უნდა შემოაღებინონ მაკედონიაში. ამიტომ ბოლგარიის პირველ მინისტრს დანევს განუზრახავს მოიწვიოს სათათბიროდ ბოლგარულ პარტიების და მაკედონელ ემიგრანტების მეთაურები, წარუდგინოს მას ავსტრია-რუსეთის პროექტი რეფორმებისა და მოსთხოვოს მაკედონიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ არაგზით არ მოახდინოს მაკედონელების აჯანყება გაზაფხულზე. მაკედონელი რევოლიუციონერები ერთ გვარად არ უყურებენ დანევის განზრახვას: ერთი ჯგუფი თანახმაა მონაწილეობა მიიღოს თათბირში; მაგრამ მეტი წილი წინააღმდეგია. მაკედონელების გაზეთი „რეფორმი“ ურჩევს თანამოაზრეებს არ მიიღონ დანევის წინადადება და უთუოდ ააჯანყონ ხალხი გაზაფხულისათვის: სხვა გზით მაკედონიის განთავისუფლება შეუძლებელი არისო.

მართალს ამბობს მაკედონელ რევოლიუციონერების გაზეთი: მიწყნარდება თუ არა მაკედონიის ხალხი, არც ერთი სახელმწიფო ხმას არ ამოიღებს მის სასარგებლოდ, განსაკუთრებით რუსეთი და ავსტრია, რომელნიც მუდამ უცვლელ status quo'-ზე ოცნებობენ.

სულ სხვაა, როცა ხალხი აჯანყებულია— status quo-ს მოტრფიალეთ ძალზე ეშინიათ მაკედონიის ცეცხლისა, რადგან ადვილად შესაძლებელია, რომ ეს ცეცხლი ბოლგარიას, სერბიას, ბალკანეთს და სხვა სახელმწიფოებსაც მოედოს. საქმეთა ასეთი არევდარევა იმისთვის არის სასურველი, ვინც კარგად მომზადებულია და შესძლებს მითი ისარგებლოს. ასე მომზადებული არავინ არ არის. ამიტომ ეცდებიან, რომ აქამდე საქმე არ მიიყვანონ და მაკედონიის მძიმე მდგომარეობა შეამსუბუქონ.

ახალი ამბავი

◆ ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორი დიმიტრიევი დეკემბერში დუშეთის მაზრაში ყოფილა **სკოლების დასათვალიერებლად** და რევიზიის მოსახდენად. სხვათა შორის, დიმიტრიევს ქსოვრიში მკვიდრთათვის გამოუცხადებია, სამინისტრო სკოლას დავაარსებთ, თუ დახმარებას გაგვიწევთ და ადგილს და შენობას შეიძენთო. სოფლის წარმომადგენელნი სიამოვნებით მიჰგებებიან ამ წინადადებას და აღუთქვამთ ყოველნაირი დახმარება. ამასთანავე მკვიდრნი შეჰკითხებიან დირექტორს, მასწავლებელი რუსი გვეყოლება, თუ ადგილობრივ ენების მცოდნეო. როდესაც დიმიტრიევს უთქვამს, მასწავლებელი ქართველი იქნება, მაგრამ სწავლა პირველ დღიდანვე რუსულ ენაზე უნდა სწარმოებდესო, მცხოვრებთ გამოუცხადებიათ, ისეთ სკოლის დაარსებისათვის ხარჯს ვერ გავიღებთო.

◆ არსად **ბავშვთა სიკვდილი** ისე არ არის გახშირებული, როგორც რუსეთში. ურალის სამკურნალო საზოგადოების ყურადღება მიუქცევია ამ გარემოებისათვის და შეუმუშავებია პროექტი ბავშვთა სიკვდილთან საბრძოლველ საშუალებებისა. ეს პროექტი გამოუგზავნია კავკასიის სამკურნალო საზოგადოებისთვის თავის აზრის გამოსათქმელად. კავკასიის საზოგადოებამ მკურნალთა კომისია აარჩია და იმას მოანდო პროექტის განხილვა.

◆ ექსარხოსის განკარგულებით, ამ თვის 1-ლ რიცხვიდან დაარსდა საქართველოს საეპარქიო **სასკოლო საბჭოს განყოფილება** იმ საეკკლესიო სამრევლო სკოლათა განსაგებად, რომელნიც ტფილისისა და ბორჩალოს მაზრებში და განჯის გუბერნიაში არსებობენ. საეპარქიო საბჭოს უცნობებია ქალაქის მოურავის მოადგილისათვის, ქალაქის საბჭომ თავისი წარმომადგენელი აირჩიოს ამ განყოფილების წევრადაო.

◆ ერთ-ერთს ხმოსანს უნდა განცხადება შეიტანოს საბჭოში და ურჩიოს, **ცალკე კომისია აირჩიოს საბჭომ** იმისათვის, რომ განსაკუთრებით ყურადღება დაიჭიროს ქალაქის ქუჩა-მოედნების მოკირწვლა-გადაკირწვლაზე, რომელიც ახლო მომავალში უნდა დაიწყოს ქალაქმა. ხმოსანი იმ აზრისაა, რომ ქალაქის გამგეობას ისედაც ბევრი საქმე აქვს და ამ ახალსა და მეტად რთულ საქმეს საჭირო ყურადღებას ვერ მიაქცევსო.

◆ საუფლისწულო უწყების სოფ. მუხრანის მამულის გამგეს ბ-ნ ბაჟბეუკ-მელიქოვს განუზრახავს **მუშებისათვის საკვირაო სკოლის გამართვა.** ამ მამულში 300 მუშაა და ყველანი ქართველები არიან. ბ-ნ ბაჟბეუკ-მელიქოვს ნებართვისთვის უკვე მიუმართავს სახალხო სკოლების დირექტორისთვის.

◆ როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, ტფილისის **ქალაქის საბჭომ** ნება დართო გამგეობას ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებამდე იხელმძღვანელოს 1902 წლის ხარჯთ-აღრიცხვით. გამგეობამ უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა წარსულ წლის ხარჯთ-აღრიცხვით იხელმძღვანელოს სავალდებულო ხარჯის გასტუმრების დროს. ხოლო რაც შეეხება არა სავალდებულო ხარჯს, ამ შემთხვევაში გაისტუმროს მარტო სავადო ხარჯი.

◆ მიწათ-მოქმედების სამინისტროს განუზრახავს საქარის სანერგეს გამგე, აგრონომი **სტაროსელსკი,** მომავალ ზაფხულს საზღვარ გარედ გაჰგზავნოს, რომ გამოიკვლიოს, როგორც სწარმოებს იქაურ გლეხობაში მევენახეობა.

◆ დღეს **საფინანსო კომისიის კრება** დანიშნული, რომელზედაც განაგრძობენ ქალაქის შემოსავლის განხილვას. როგორც გვი-

ფელეტონი

წერილი სენაკიდან

II

მევენახეობა-მეღვინეობა, მებაღეობა, მეაბრეშუმეობა, საჩოხე შალები, საკვირველი ბაჟი.

არც მეღვინეობას და მევენახეობას ულიმის ბედი. ამ 30—35 წლის წინად მთელი სამეგრელო, უფრო მთა-გორიანი მისი ნაწილი, სამეგრელოს კარგად მცოდნე კ. ბოროზდინის მოწმობით და აგრეთვე ძველი კაცების ჩვენებით, მოფენილი იყო მაღლარით, რომლიდანაც დიდი სარგებელი ჰქონდა ხალხსა. მაგრამ, მისდა საუბედუროდ, იმ ხანებში (30—35 წ.წ.) მეურნეობის ამ დარგს გაუჩნდა საშინელი მტერი,—ეგრედ წოდებული „ტუტა“ (ნაცარი, oидiумъ), რომელმაც ერთიანად მოსპო მაღლარის „ხსენებაც“-კი. საუცხოვო ჯიშები ვაზისა, მაგალითად,—შონური (სვანური, ოჯალეში), ფუმფულაში, კოლოში, ჭვიტილური, ჩეჩიბეში, ჩეში და სხვანი დღეს სამეგრელოში წამლადაც აღარ მოიპოვება,—ხალხს მათი სახელიც კი დაავიწყდა. ამისთანა სიკეთე უყო ნაცარმა მევენახეობას ჩვენში. დაბლარის მოშენებას ჩვენი გლეხი არ იყო მიჩვეული, მასთან არც კი იცოდა, თუ რამე წამალი არსებობდა ქვეყანაზე ამ სენის წინააღმდეგ. საყვარელი ღვინო კი ერთიანად ხელიდან ეცლებოდა, უღვინობა-კი, მისი აზრით, არ შეიძლებოდა; და აი მშვენიერი ადგილობრივი ჯიშების მაგიერ, გაჩნდა თუ არა ჩვენში, გაიშენა ეგრედ წოდებული „ადესა“ (იზაბელა), რომელსაც ნაცარი ვერ ერეოდა... ადესამ ამ ბოლოს დრომდე არ უმტყუნა მისს შემმუშავებელს: მშვენიერს მოსავალს იძლეოდა; მეგრელს ღვინო, თუმცა მდარე, მაინც ბლომად ჰქონდა. უკანასკნელი შვიდი-რვა წლის განმავლობაში ადესამაც სულ იკლო და იკლო, ასე რომ შარშანწინ, 1901 წელს, მეგრელი ხეზე არც-კი ასულა ყურძნის მოსაკრეფად, ისე მცირე მოსავალი მოვიდა: ადესასაც თავისი ჭირი გაუჩნდა—„ობი“ (мильдыо) და მასთან ერთად იანტრაკნოზიც. ამ ორს სენს ზედ დაერთო ალაგ-ალაგ ფილოქსერაც, რომელიც თურმე ადესასაც არ ზოგავს.*) ობისა, თუ ანტრაკნოზ-ფილოქსერის წყალობით ამ უკანასკნელ წლებში ადესამაც საშინლად უმტყუნა მეგრელებს. შარშან-კი ალაგ-ალაგ ადესას კარგი მოსავალი მოვიდა, მაგრამ „ჭოროფამ“**), გამუდმებულმა წვიმებმა წაახდინა,—ძალიან მდარე ღვინო მოგვივიდა. მასთან ადესას დიდს ვნებას აყენებს სამეგრელოს მძლავრი ქარი, რადგანაც ამ ჯიშის მტევანს ყუნწი ძალიან სუსტი აქვს და პატარა ქარიც ჰკმარა, რომ მოსავალი ერთიანად ჩამოჰყაროს ძირსი, ამის ეშინიან მეგრელსა და ყურძენს ადრე, უმწიფარს ჰკრეფს. ასე მოუვიდათ შარშანაც.—სენაკის მაზრაში დაბლარსაც აქა-იქ შეხვდებით: ხალხს ჯერ არ შეუთვისებია მისი კულტურა. თავ. ერ. ნაკაშიძის გამოანგარიშებით მთელს მაზრაში 285 დესეტინა დაბლარია მოშენებული, რომელიც განაწილებულია 1078 მევენახეთა შორის. თითქმის ნახევარი ამ მამულებისა (119 დესეტინა) გორდსა და კინჩხაშია. ვერც დაბლარი ხეირობს ჩვენში—ცალკე მისი მოვლის უცოდინარობით, ცალკე სინესტის გამო. თუ ბარად ველარ ხეირობს დაბლარი, სამაგიეროდ იმ სერების კალთებზე, რომელიც გაჭიმულია სოფელ სალხინოსა და ახალ-სენაკს შუა თითქმის 40 ვერსის მანძილზე, მშვენივრად იხეირებდა, ხალხს რომ მისი მოვლა-მოშენების ცოდნა ჰქონდეს: აქ ნიადაგი—მაღნარი, დობერა (დობირა) და ხინჭკონა (სახრო)—მშვენიერია. ძველად ამ სერების კალთები იყო მოფენილი განთქმული შონურით (სვანური, ოჯალეში), როგორც ჰმოწმობს სამეგრელოს კარგი მცოდნე კ. ბოროზდინი.

დღეს კი ისე დაეცა სენაკის მაზრაში მევენახეობა და მეღვინეობა, რომ არამც თუ იმერული ღვინო, ადესაც სამეგრელოში შემოაქვთ აფხაზეთიდან (გუდაუთიდან) და გურიიდან.—ეხლა მამა-პაპეული ღვინის მაგიერ სოფლად გახშირდა (მთაში მაინც) შინაური არაყი, ჰაჰისა და ხილეულობისა, მაგრამ ამასაც—ხომ მოგეხსენებათ—თავისი „ჭირი“ ახლავს...

არ ვიცი, რითი ავხსნა, თუ არა უცოდინარობით, რომ აქაური გლეხი ძალიან ნაკლებად მისდევს მებაღეობას მაშინ, როდესაც ამისთვის საუკეთესო ნიადაგია სამეგრელოში: კარგის ჯიშის ვაშლსა, მსხალსა, ატამსა, თხილსა და სხვას აქ ძალიან იშვიათად შეჰხვდება ადამიანი. მეგრელს ბაზარში გასასყიდად თითქმის არაფერი ხილეული არ გამოაქვს, თითო-ოროლას გარდა. ხილეულს ფოთი ღებულობს უმთავრეს ნაწილად გურიიდან, სენაკი და სხვა დაბები—იმერეთიდან. ამ შემთხვევაში სასიამოვნო გამონაკლს შეადგენს ს. აბედათი, რომელშიაც გვარიანად გავრცელებულია მებაღეობა, მეტადრე საადრეო ატმებისა და ბლების ბაღებია. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ ამ სოფლიდან რამდენიმე კაცი ყოფილა მუშებად სოხუმისა და ბათომ ჩაქვ-ს ბაღებში. აქ შეძენილი ცოდნა თავისს სამშობლო სოფელშიაც გადმოუნერგავს,—გავრცელებულა მებაღეობა ამათ ს. აბედათში.

რაც შეეხება მეაბრეშუმეობას, ეს დარგი მრეწველობისა ძალიან გავრცელებულია სენაკის მაზრაში. ისეთი ოჯახი არ იქნება, რომ ერთი კოლოფი აბრეშუმის ჭიის თესლი მაინც არ შეიძინოს და არ დაისვას, მაგრამ მაგარი ის არის, რომ ამ შემთხვევაშიაც ჩვენი მუშა ხალხი ექსპლუატატორების სათამაშოდ გამხდარა: მას სწიწკნის და ატყუებს ყოველი მაზედ უფრო გამოქნილი თავ-სიანი და უცხო,—მეგრელი, სომეხი, ბერძენი და ურია თესლის გაყიდვაში, თუ პარკისა და აბრეშუმის ყიდვაში. დღდგება თუ არ გაზაფხული, ჩვენი სოფლები მოეფინება აბრეშუმის „თესლის“ გამყიდველებით: ზოგი მათგანი სოფელს ურიგებს თესლს მოსავლის სამესამედოდ, ზოგი—იმ პირობით, რომ უსათუოდ მას, თესლის გამყიდველს, მიჰყიდოს პარკი, ზოგიც კი ძალიან საეჭვო თესლს ასაღებს. თუმცაღა აქაც დააქვთ და ჰყიდიან კავკასიის სააბრეშუმო სადგურის მიერ შემოწმებულ „გრენას“, მაგრამ ხშირად ესეც სცდება, ფუჭდება და მოსავალს არ იძლევა, და საწყალ მუშას თავის შრომასთან ერთად ფუჭად ეკარგება თესლის ფასიც. ვსთქვათ, ცამ პირი ჰქნა და კარგი პარკი მოუვიდა,

---

*) იხილე Кн. Е. К. Накашидзе. Отчетъ виноградства и винодѣлія въ Гуріи и Мингреліи.

**) ჭოროფა—მეგრულად ზაფხულის გამუდმებულს, უზომო წვიმებს ჰქვია.

თხრეს, მომავალ კვირაში დაასრულებენ ამის განხილვას და შეუდგებიან ქალაქის ხარჯთაღრიცხვის განხილვას, თუ ქალაქის გამგეობას ამ დროისათვის მზად ექმნება იგი.

◆ ქალაქის **ქუჩა-მოედნების მოკირწყვლის** შესახებ ყოველივე მასალა კომისიას დაუმზადებია და პირველსავე კრებაზე საბჭოს მოხსენდება.

◆ მკითხველებმა უკვე იციან, რომ **ბაგორ მამინაიშვილმა და იოხავამ** გუბერნატორთან საჩივარი შეიტანეს. გუშინ გუბერნატორმა ეს თხოვნები ქალაქის გამგეობას გადასცა და განმარტება მოსთხოვა.

◆ ტფილისის **სახელოსნო სასწავლებლის** გამგე კომიტეტსა და ხმოსან-იურისტებს დღეს კრება ექნებათ. სჯა-ბაასი ექნებათ კომიტეტის არსებობის შესახებ, რომ მომავალ საბჭოს კრებისათვის, 13 იანვარს, მზად იყვნენ რა ცნობა მისცენ საბჭოს.

◆ ტფილისის საბჭოს დადგენილება, **ქალაქის ბეითალი ბ-ნი კანცელმახერი** პეტერბურგს გაიგზავნოს იქაური საბეითალო კრებაზე, გუბერნატორმა დაამტკიცა.

◆ გუშინ, 3 იანვარს, ტფილისის გუბერნატორმა შეატყობინა ქალაქის გამგეობას, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, რომ რუსეთის ბეითალთა საზოგადო კრებაზე მოსკოვში ტფილისმაც გაგზავნოს თვისი ბეითალი კანცელმახერით.

◆ რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი—„დიდი მოურავი გიორგი სააკაძე“, ისტორიული პოემა გიგო ხეჩუაშვილისა, გამოცემული გ. შიხაშვილის მიერ. პოემა დიდია, შეიცავს 236 გვერდს და ჰღირს ოთხ აბაზად.

◆ ბაქოელმა მკურნალმა მინასიანცმა კავკასიის სამკურნალო საზოგადოებას სთხოვა გადასდოს ფული ბაქოს გუბერნიაში ერთ ადგილას, რომელსაც მინასიანცი არ ასახელებს, სამკურნალო წყლების გამოსაკვლევად. ეს თხოვნა საზოგადოებამ, უსახსრობის გამო, ვერ დააკმაყოფილა.

◆ დღეს, 4 იანვარს, სახალხო თეატრში, ავჭალის ქუჩაზე, ქართული სცენის მოყვარენი, არტისტის გუნიას მონაწილეობით, წარმოადგენენ დრამას „დამნაშავეს“ და ვოდევილს „სცენები მიროვოი სუდიასთან“.

◆ 8 იანვრისათვის ტფილისის ოლქის სასამართლოში განსახილველად დანიშნულია საქმე მაჭმედ ალი-სთიუნ-ოღლისა, და სხვ. მის ამხანაგებისა, რომელთაც ჰბრალდებათ ყაჩაღობა. ამ საქმის გამო დაბარებულია 52 მოწმე.

◆ გუშინღამ ოქრომჭედლების ქუჩაში ოქრომჭედლის, ვინმე ნაკონაიანცის მაღაზია გაუქურდავთ; გაუზიდნიათ, რაც ძვირფასი რამ ნივთი იყო მაღაზიაში, ორას თუმანზე მეტად ღირებული. ქურდი ეზოდან შესულიყო მაღაზიის კარებით და ნივთები უჯრებიდან ასე გამოეღო, არა დაემტვრია-რა. ცხადია, გასაღებები ხელში ჰქონია ქურდს და პატრონმაც გუშინ ისე გამოუცხადა პოლიციას, ეჭვი წინად ჩემთან ნამსახურს ხოდანიანცზე მაქვსო. პოლიცია ხელად მისულიყო ხოდანიანცის ბინაზე, გაუჩხრიკა იქაურობა და მართლაც ნაკონაიანცის მაღაზიის უჯრების გასაღებები აღმოუჩინა. ხოდანიანცი დაიჭირეს.

◆ ამას წინად აღნიშნული გვქონდა, რომ ნავთლუღის ძველ გზის პირზე ჰნახეს გვამი ვიღაც კაცისა, რომლისთვისაც ბოროტ-მოქმედთ ყელი გამოეჭრათ დანით. პოლიციის გამოძიებით მოკლული აღმოჩნდა ტფილისის მოქალაქე კირაკოზოვი. ბოროტ-მოქმედთა აღმოსაჩენად გამოძიება სწარმოებს.

რუსეთის ქრონიკა

◆ პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორთა და იქაურსავე გიმნაზიების მასწავლებელთ განუზრახავთ ახალის საზოგადოების დაარსება მიწა-ადგილებისა და ნიადაგების შესასწავლად. სახელდობრ საზოგადოებამ უნდა: 1) შეიმუშავოს სამეცნიერო და სპეციალური საგნები მიწა-ადგილის შესახებ; 2) მოახდინოს გეოგრაფიული გამოკვლევანი ამა თუ იმ ადგილისა; 3) შეიმუშავოს გეოგრაფიის შესწავლისა და გავრცელების საქმე. წესდება საზოგადოებისა უკვე წარუდგინეს მთავრობას დასამტკიცებლად.

◆ სახელმწიფო ხაზინიდან 15,000 მანეთი გადაიდო გეოლოგების გასაგზავნად თურქესტანში. გეოლოგებმა უნდა გამოიკვლიონ მიწის-ძვრის მიზეზნი.

◆ მუშაობა დაამთავრა მიწათ-მოქმედების მინისტრის თავმჯდომარეობით შემდგარმა იმ კომისიამ, რომელსაც მიენდო შავის-ზღვის პირად მიწა-ადგილების განწესრიგება. სხვათა შორის, კომისიის აზრით, უნდა მოისპოს წესები სადამოენო ზედამხედაობის შესახებ, რომელიც ხელს უშლის ამ კუთხის კოლონიზაციას.

◆ საქარხნო ინსპექცია, რომელიც დღეს ფინანსთა სამინისტროს ექვემდებარება, ახალის წლიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს დაექვემდებარა.

◆ 1903 წლის შემოდგომისათვის, როგორც გაზეთები სწერენ, შინაგან საქმეთა სამინისტრო დაამთავრებს სამაზრო პოლიციის რეორგანიზაციის პროექტს. შემდეგ ეს პროექტი სახელმწიფო საბჭოს გადაეცემა.

თეატრი

ქართული წარმოდგენა. 2 იანვრის სადღესასწაულო წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. ერთი რომ ძლიერ დიდი საზოგადოება დაესწრო; საყურადღებოა, რომ თეატრში ვხედავდით ისეთს პირებს, რომლებიც ქართულს წარმოდგენებს ერთხელ თუ ეწვევიან; იყვნენ აგრეთვე სომხებიც. მეორე—წარმოდგენა მშვენიერი იყო თამაშის მხრით.

ვამბობთ მშვენიერი იყოვო და სახეში გვყავს განსაკუთრებით ხანუმა—ქ. გაბუნია-ცაგარლისა. ჩვენი სცენა იშვიათად ნახავს ასეთს თამაშს. მაგრამ შეცდომა იქნება, ვიხმაროთ აქ სიტყვა „თამაში“, რადგან სცენაზე არ ვხედავდით რასმე თამაშის მსგავსს, არამედ ნამდვილ ცხოვრებას, ნამდვილ ადამიანებს, ნამდვილს მაჭანკალს. არავინ არ იფიქრებდა, რომ სცენაზე ქ. გაბუნია-ცაგარლისა თამაშობდა, ყველას თვალ-წინ უდგა ნამდვილი ხანუმა, ცოცხალი, მხიარული, მოურიდებელი, მატყუარა, ენერგიით სავსე, რომელიც არაფერს არ უთმობს თავის მოწინააღმდეგეებს, იმარჯვებს მათზე და მხიარულობს გამარჯვებული სრულის იმედით, რომ ასეთი გამარჯვება არა ერთი მოელის მომავალშიაც. ხანუმა თავის თავად შესანიშნავი და მასთან მართალი ტიპია, მხოლოდ ქ. გაბუნია-ცაგარლის თამაშში იგი კიდევ უფრო ნამდვილ სახეს ღებულობს. აქ აქტიორი ხელს აძლევს ავტორს და ორივეს ნიჭითგან წარმოსდგება დიადი ნაწარმოები.

ყოველი პიესა სცენისათვის არის დაწერილი; პიესა მაშინ მიაღწევს თავისს მიზანს, როდესაც წარმოდგენილია სცენაზე სრულის სინამდვილით. რაც უნდა კარგი პიესა იყოს, რაც უნდა მაღალი აზრები იყოს შიგ გამოთქმული, რაც უნდა უკვდავი ტიპები იყოს დახატული, იგი ვერ მოახდენს ჯეროვანს შთაბეჭდილებას, თუ მისი შინაარსი არ არის სცენაზე ნამდვილად გარდაქცეული, არ არის მისი განამდვილება რეალიზაცია. როდესაც პიესის წარმოდგენა მიაღწევს ასეთს სისრულეს, მაშინ პიესა სასიამოვნო და საინტერესო სანახავია არა ერთხელ და ორჯერ, რადგან ნამდვილი ცხოვრება, თუმცა ერთი და იგივე, ყოველთვის ახალს და ახალს მხარეებს გვიშლის წინ.

ქ. გაბუნია-ცაგარლისთანა ხანუმას მეორეს დიდხანს ვერ ვეღირსებით, ამ როლის ასეთი იდეალური, შესანიშნავის ნიჭით აღბეჭდილი შემსრულებელი ადვილი საპოვნელი არ არის, და დრამატიულ საზოგადოების გამგეობას თამამად შეუძლია ამ პიესის განმეორება ყოველ წლივ.

სხვა მოთამაშეებში ჩვეულებრივ მშვენიერი იყო აკოფა—ბ. აბაშიძე; კარგად თამაშობდნენ ბ. გამყრელიძე (ვ. ფანტიაშვილი) და ქ. გალუსტოვისა (სარა). უნდა აღვნიშნოთ ბ. ანანიაშვილის თამაში, რომელმაც ტიმოთეს როლში დაგვიხატა ნამდვილი ტიპი ქართლელი გლეხისა. არა უშავდა ქ. ლეჟავას სონას უბრალო როლშიც, რაც შეეხება ქ. გამყრელიძისას, რომლისათვის ქაბატუას როლი მიენდოთ, უნდა ვსთქვათ, რომ მისი მეტად სუსტი ნიჭი სრულიად შეუფერებელია ასეთ მძიმე როლებისათვის. სამწუხაროა ძლიერ, რომ ქაბატუას როლს ქ. ჩერქეზიშვილისა არ თამაშობდა.

„ხანუმას“ წინ ითამაშეს „სამზადისი“, მშვენიერი პიესა. ძლიერ სასიამოვნოა სცენაზე აღნიშვნა ისეთის შესანიშნავის მომენტისა, როგორიც არის ჩვენი თეატრის დაარსება. ყოველთვის აღტაცებით მივეგებებით სცენაზე დანახვას იმ პირებისას, რომელთაც მტკიცე საფუძველი დაუდვეს ჩვენს ეროვნულ გათვითცნობიერებას.

გუშინ-წინ „სამზადისი“ ვერ იყო მთლად კარგად წარმოდგენილი, ზოგიერთი როლები ვერ იყო შესაფერად განაწილებული და გრიმებიც ვერ გაეკეთებინათ ყველას კარგად (ჩვენ არ მოგვეწონა, სხვათა შორის, ბ. მესხის—გიორგი ერისთავის სახე). ეფექტი მოახდინა ბ. გუნიამ—ვორონცოვმა.

ბ.

—

ქუთაისი. ხუთშაბათს, 26 დეკემბერს, აქაურმა დასმა გ. აბაშიძის მონაწილეობით წარმოადგინა კომედია „ადლუმი“. წარმოდგენამ საზოგადოდ მწყობრად ჩაიარა. ბ-ნმა გ. აბაშიძემ მშვენივრად შეასრულა ივლიანე ჭარხლაძის როლი; კარგნი იყვნენ ქ-ნნი ტასო აბაშიძისა (ნუცა) და ნინო ჩხეიძის (თამარი) ასულნი. არა უშავდათ რა აგრეთვე მდივნის ასულს (დიზა), გურულს და ქორიძეს, რომელსაც თუმცა მოხდენილი შეხედულობა და რიხიანი ხმა ხელს უწყობდა გენერლობისთვის, მაგრამ საგენერლო მიხვრა-მოხვრა კი აკლდა. ბ ნმა ნეშომ კარგად დაგვიხატა ლუკა მწაფარაშვილი; რაც შეეხება სამხედრო პირთ, ყველანი ძლიერ სუსტობდნენ: ერთს თმა გაბურძგნოდა და ტანზე ოფიცრის ტუჟურკის მაგიერ თითქოს ტომარა ეცვა; მეორე ტუჟურკაში არ ეტეოდა; სახელოები იდაყვებთან უწვდა, წელი კი ზურგზე ჰქონდა; მესამე სიტყვებს ვერ პოულობდა სიყვარულის გამოსახატავად. წარმოდგენას, შედარებით, დიდი საზოგადოება დაესწრო.

—

პარასკევს, 27 დეკემბერს, ქუთაისის თეატრმა იდღესასწაულა ნიჭიერ მსახიობ ქალის ტასო აბაშიძის ასულის ბენეფისი. საბენეფისოდ ამორჩია მელოდრამა „ორი ჯიბგირი“. თუმცა მონაწილეობას იღებდნენ ჩვენის სცენის საუკეთესო მსახიობნი, მაგრამ წარმოდგენამ მაინც ისე მწყობრად ვერ ჩაიარა, როგორც მოველოდით. ამის მიზეზი ერთის მხრივ ის იყო, რომ არც ერთმა ხეირიანად როლი არ იცოდა და ყველანი სუფლიორს ხახაში მისჩერებოდნენ; მეორე მხრივ—თვით პიესის ბევრს ადგილას უბუნებრიობა.

ეხლა გაყიდვას აღარ იტყვით? როგორ და რა რიგად ატყუებენ ჩვენს სოფლელებს ვაჭარ ჩარჩნი წონაში?, ეგრედ წოდებული „სკიდკა“ ხომ ტყავის გამძრობელია მუშა ხალხისა. ყოველ პარკობაზედ გესმის დედაკაცთა ზიზღით აღსავსე საყვედური ჩარჩბაცაცთა მიმართ და დაპირება, რომ „დღეის შემდეგ ამას ხელს არ მოვკიდებთო“, მაგრამ გაჭირვება ამ დაპირებას ავიწყებინებს და, დადგება თუ არა მეორე გაზაფხული, ისევ გაჩაღდება მუშაობა. ორიოდე მაგალითი: ძველ-სენაკის მეაბრეშუმეთა ამხანაგობამ შეაძლია გლეხს 5—ს ფუთ პარკში 14 მანეთი, კერძო ვაჭარმა კი—14 მ. 20 კ. ამხანაგობის სასწორზედ აწონილი პარკით გლეხი ვაჭარს გაჰყვა, მაგრამ მალე დაბრუნდა. „ინებეთ, ბატონო, როგორც გინდოდეთ ჩემი პარკიო“! თურმე 3 ფუთის და 7 გირვანქის მაგიერ იმ ვაჭარს ეანგარიშნა მწარმოებლისათვის 4 გირვანქით ნაკლები! ან რით აიხსნება ის ფაქტი, თუ არა წონაში მოტყუებით, რომ წვრილმანი ვაჭრები დილით, მაგალითად, ყიდულობენ ფუთ პარკს 14 მანეთად, საღამოთი კი—ათშაურ ნაკლებად ჰყიდიან? ჩვენშიაც დაბებსა და დიდს სოფლებში ვითომდა შემოიღეს საზოგადო სასწორები, მაგრამ მღვრიევე წყალში ბედის მაძიებელნი იმდენს უმსგავსო და საზიზღარს ხმებს ავრცელებენ ინტელიგენტ-ამწონველების შესახებ, რომ ხალხი უფრთხის მათ, და ჯერ ჯერობით მაინც ვეღარ შეეთვისა. უფრო ცუდს დგომარეობაშია ვაჭრობა ძაფად ამოღებულ აბრეშუმისა: ამას ყიდულობენ მეწვრილმანე ურიები და მის მაგიერ აძლევენ დამპალს ჩითსა და საწვრილმანოს. მართალია, ალვირ-ახსნილ ჩარჩთა საწინააღმდეგოდ დაბა ძველ-სენაკში არსებობს მეაბრეშუმეთა ამხანაგობა „შუამავალი“, მაგრამ ჩვენში სხვაგან სად უხეირნია ამისთანა ამხანაგობას, რომ აქ იხეიროს? ან როგორ შეუძლიან თვითმოქმედება იმას, რომელსაც „უბატონოთ“ ცხოვრება ვეღარ წარმოუდგენია? თუ დროთა ბრუნვამ „პეტრე-ბატონის“ ყმობა მოაშორა, „პავლე-ბატონს“ მაინც უნდა ეყმოს! ამხანაგობა „შუამავალი“ ვეღარ ასრულებს თავისს დანიშნულებას, მიზანს, თუმცა არ შეიძლება სთქვას კაცმა, რომ მისი (ამხანაგობის) საქმეები უნუგეშო მდგომარეობაშიათქო; არა, მხოლოდ სხვა და სხვა მიზეზთა და უპირო პირთა გამო ვეღარ ჰმოქმედობს ისე, როგორც სასურველია; მასაც გაუჩნდა თავისი მღრღნელი მატლი! ამ ამხანაგობას სხვა დროს კიდევ დავუბრუნდები.

აქ არ შემიძლია გვერდი აუქციო შინამრეწველობას, მეტადრე საჩოხე შალების ქსოვას. ეს დარგი მრეწველობისა ძალიან გავრცელებულია მთელს სამეგრელოში. საჩოხე შალები იყიდება უმთავრესად სამეგრელოში გახშირებულ ბაზრობაზედ (იარმარკაზედ), მეტადრე ძველი-სენაკის ბაზრობებზე, რომელნიც იქ ორჯერ წელიწადში იციან—ხარებასა და ფერისცვალებას. უწინ შალი დიდს სარგებლობას აძლევდა მცხოვრებთ, რადგანაც კარგს ფასებში იყიდებოდა,—ამ უკანასკნელ წლებში კი მისი ფასი ძალიან დაეცა, ასე რომ მისს მომქსოველს მატყლის ფასი-ღა თუ რჩება. როგორც თვით შალების გამყიდველ დედაკაცებმა აგვიხსნეს, ერთი საჩოხე შალის მოქსოვას (16 არშინი) ერთი ქალი უნდება არა ნაკლებ ოცის დღისა,—მატყლი მანეთ-ნახევრისა,—შალი კი შარშან იყიდებოდა 2 მ. 40 კ.—4 მანეთად; საშუალო ფასი ერთის შალისა იყო სამი მანეთი. და თვით იგულისხმე, მკითხველო, თუ რამდენად ჰყიდის ჩვენი დედა-კაცი დღიურ მუშა ხელს—თავის ხარჯით 5—7 კაპეიკად! ამას ზედ დაურთეთ ისიც, რომ ორი სამის შალის პატრონმა უნდა გაიაროს 20—50 ვერსი ფეხით თავის საქონლის გასასაღებლად ბაზრობაზედ. აქაც მთელი კვირის მოლოდინი სჭირდება, სანამ გაჰყიდდეს, აი ამ ბაზრობაზედ ადვილად შეიტყობს მცხოვრების მეთვალყური, თუ რა შეძლებისაა ჩვენი გლეხ-კაცობა: თქვენ თვალ წინ ცის ქვეშ ჯგუფ-ჯგუფად დამსხდარან დედაკაცები და უგემურად ილუკმებიან სახლიდან თან მოტანილის სამი-ოთხი დღის გამომცხვარი მჭადით და ხახვის ნაჭერით, თუ ხულისა (ხალი)! ცივი მჭადი და წყალი, ესაა მათი სადილ ვახშამი!

როგორც გამოკითხვიდან აღმოჩნდა, ჩვენს დედა-კაცებს ამ ხელობაში მეტოქეები აღმოუჩნდნენ,—ეს მოსკოველი მექარხნეებია, რომლებიც ამზადებენ ამნაირივე შალებს და, რასაკვირველია, უფრო იაფადაც ჰყიდიან. ამის შესახებ ცნობილმა შალებით მოვაჭრემ ურიამ გვითხრა: „ხალხს კი არ ესმის, რომელი შალი სჯობიაო, სიიაფეს ეძებსო. „ფაბრიკის“ შალი კი თითქმის ორჯელ უფრო იაფიაო.“ თვით ურიებიც სარგებლობენ გარემოებით და შალების ფასს საშინლად სცემენ, უკლებენ. ჩემს ნაცნობ მოშას ეყიდნა აურებელი შალი (ათი-ათასი მანეთის ვიყიდეო, გვითხრა,—მგონი, არც ცრუობდა), და, სხვათა შორის, გვაჩვენა ერთი შესანიშნავი ნახელავი შალი, რომელშიაც 6 მანეთი მიეცა. „15 მანეთად მაინც გავყიდიო!“ ამის სიმართლეში ყველა ადვილად დარწმუნდება, ვისაც კი გაუვლია ქუთაისში შალით სავაჭრო ურიების მაღაზიებში: იქ რომ 10—15 მანეთად შალები იყიდება, უმეტეს ნაწილად მეგრელ ქალთაგან 3—6 მანეთად შეძენილი შალებია. ამ პირობებში ჩაყენებულმა მეგრელმა, როდი იქნება გასაკვირველი, შალის ქსოვას თავი დაანებოს. ჩემმა პიჯაკოსანმა ამხანაგმა დაიწყო გამოკითხვა დედაკაცთა, თუ რა უჯდებათ მათ თვითონ, როგორ ჰყიდიან, ძნელი სამუშაოა, თუ არა და სხვანი, რის გამოც გვიპასუხეს: „ბატონო, ტყუილად თავს ვიტყვილებთ, თორემ თითო შალში შრომის ფასად ათი შაურიც აღარ გვრჩებაო. თუ რამე არ გვიშველეს, მეტი გზა არაა,—თავი უნდა დავანებოთო,“ და ჩვენი ევროპიული ტანისამოსით მოტყუებულმა დედა-კაცებმა მორთეს ერთ-ურთში ჩურჩული: „ეგებ რამე ზომა დაგვიდვანო!“ ის კი არ იცოდნენ, რომ ჩვენც მათსავით პირველი კერძნი, „კანდიდატნი“ ვიყავით სიმშილისა.

სენაკის მაზრაში ალაგ-ალაგ მისდევენ თიხის ქურჭლის კეთებას, კალათებისა, ჭილის ჭილოფის ქსოვას, გარნა უზომო გადასახადების გამო (10%) ბაზრზე გასასყიდად ვეღარ გამოუტანიათ. დავბერდი და ჯერ არ გამიგონია, რომ რუსეთის იმპერიაში, სხვაგან არ ვიტყვი, სადმე ჭილოფისა და კალათების წარმოებელს ბაჟი ახდევინებდნენ, გარდა სენაკის მაზრაში. ალბად, რამე შეცდომის გამო არსებობს ეს ბაჟი, თორემ წარმოუდგენელია თავად მინგრელსკის ნება-რთვით მის სასარგებლოდ იკრიბებოდეს ეს ბაჟი. სასურველია ამას ყურადღება მიექცეს.

ჭამუთ-შვი.

გარდა ამისა ფარდას ისეთ დროს უშვებდნენ, რომ საუკეთესო სცენებს ვერა ვხედავდით. უთუოდ ამ მიზეზთა გამო ბ-ნნი გ. ალექსი-მესხიშვილი (დომას) და გ. აბაშიძე (ჟორჟ დე-გერდორ) ჩვეულებრივის გატაცებით ვერ თამაშობდნენ. უფრო გატაცებით და გრძნობიერად თამაშობდნენ ქალები. შეუდარებელი იყო, მაგალითად, ის სცენა, სადაც ედენე (ნ. ჩხეიძის ასული) და ფანფანი (ტ. აბაშიძის ასული), დედა და შვილი —იცნობენ ერთმანეთს და კივილით გადაეხვევიან. მშვენიერი იყო აგრეთვე ფანფანისა და კლოდინეს (ქ-ნი მდივნის ასული) შეხვედრა. ამ ორმა სცენამ ბევრი ცრემლი დააღვრევინა საზოგადოებას. რაც შეეხება დანარჩენ მსახიობთ, გარდა ქ-ნ ივანიძის ასულისა (ზეფირინი), და ბ-ნ თუთბერიძისა, რომელმაც ადგა-ადგა მშვენივრად შეასრულა მიუდოს როლი,—ყველანი სუსტობდნენ. მობენეფისეს რამდენიმე საჩუქარი მიართვეს. წარმოდგენას იმდენი საზოგადოება დაესწრო, რომ თეატრში არც ზევით და არც ქვევით ტევა არ იყო. ზევით მაინც ისე შეახუთა ჰაერი, რომ რამდენიმე მანდილოსანი გულწასული გაიყვანეს გარედ. ლამპები დაქრა; ერთის ლამპიდან ნავთი დაიღვარა და საშინელი სუნი დადგა თეატრში. ზევიდან ჩამოსული ნავთი რამდენსამე კაცს ტანისამოსზედაც გადაესხა. ძლიერ კარგი იქნება, თუ სათეატრო კომისია ყურადღებას მიაქცევდეს ამ გარემოებას.

დონ-ჟუანი

ბაქო. 29 დეკემბერს ბაქოს საკრებულო საზოგადოების დარბაზში ახლად შემდგარ ქართულ სცენის მოყვარეთა წრემ წარმოადგინა ვოდევილი „ცოლ-ქმრობის წინააღმდეგი" და კომედია „შკოლის მჭირს". თუმც ურეპეტიციობა ეტყობოდა, მაგრამ მაინც კარგად ჩაატარეს თავიანთი როლები ქ-ნ გეგელიძისამ, ბ-ნთ სიდამონიძე-ერისთავმა და ზაქარიძემ. დასასრულ დივერტისმენტში კანტოური ლექსი მშვენივრად წაიკითხა ზაქარაძემ; სცენები გლეხის ცხოვრებიდან—დ. ჭონიშვილმა; ადავიძემ და დორთქიფანიძემ ვერ წაიკითხეს კარგად პირველმა ლექსები, ხოლო მეორემ—იმერული სცენები. ხორიც ვერ იყო კარგად მომზადებული. ცეკვაში და გოგონაზე ლეკური მშვენიერი იყო. ხალხი ნაკლებად დაესწრო, რაც დიდად სამწუხაროა. წელიწადში ერთხელ გვეღირსება ხოლმე აქაურებს ქართული წარმოდგენა და მაშინაც ვერ ვესწრებით!..

ივანე ტანიკოშვილი

ქართული საღამო ქუთაისში. ოცდა-ექვსს დეკემბერს, „ქართვ. შორის წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების" ქუთაისის სკოლაში გამართულ იქმნა ქართული საღამო ამავე სკოლის სასარგებლოდ. საღამო დაიწყო ცოცხალის სურათებით; აჩვენეს: ა) „მიჯაჭვული ამირანი", ბ) „შოთა რუსთაველი თავის თხზულებას „ვეფხვის-ტყაოსანს" აძლევს თამარ მეფეს", გ) „მეფე ერეკლე ლაშქრად წამსვლელ ხევსურთ უშინჯავს ხმლის პირებს", დ) „მეფე ერეკლე ჩაფიქრებული სამშობლოს ბედ-იღბალზე" და ე) „მოქალაქე ახალგაზრდების ქეიფი ორთაჭალის ბაღში". სურათების ჩვენების დროს ქართული სკოლის მოსწავლეთაგან შემდგარმა ხორომ, მასწავლებლის ბ-ნ გ. უტურაშვილის დირიჟორობით, შეასრულა სურათების შესაფერი სიმღერები. საზოგადოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ როგორც თვით სურათებმა, ისე სიმღერამ კარგად ჩაიარა, მხოლოდ სურათებს სცენის მოწყობილება არ შეჰფეროდა. შემდეგ გაიმართა ევროპიული და ლეკური თამაში, უკრავდა ორი სამხედრო მუსიკა, ზურნა, საზანდარი და სტვირი. სასწავლებლის ოთახები და დერეფნები მორთული იყო ქართულ და ევროპიულ გობელენებზე, აგრეთვე გამართული იყო ევროპიული და აზიური ბუფეტები, სადაც ჰყიდდნენ სხვა-და-სხვა სასმელებს. საზოგადოება ბლომად დაესწრო, იყო როგორც ქართველობა, ისე სხვა ეროვნების ხალხი, თუმცა ამ დღეს სხვაგანაც ბევრგან იყო გამართული საღამოები. საღამოს მოთავეთა და აქაურ ქართველ საზოგადოებას სასახელოდ უნდა ვსთქვათ, ყველანი „შეძლების-დაგვარად ხელს უწყობენ აქაურს სკოლასა და ეკლესიას.

ბ. ღუდუშაური.

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐ

2 იანვარს ხსენებულ საზოგადოების კრებამ მოისმინა დიდად საყურადღებო მოხსენება ექიმ ნიკოლსკისა. მოხსენება შეეხებოდა კავკასიის ქალაქების სანიტარულ მდგომარეობას. სასანიტარო ორგანიზაცია, ნიკოლსკის სიტყვით, მხოლოდ ორიოდე დიდ ქალაქებშია—ტფილისსა, ბაქოსა, ბათუმში. სხვა ქალაქებს არა თუ სასანიტარო ორგანიზაცია, საკუთარი ექიმებიც არა ჰყავთ. მკურნალობის საქმე ამ ქალაქებში მეტად უნუგეშო მდგომარეობაშია; ასეთი ქალაქები მკურნალობის მხრივ იმ სოფლებზედაც კი დაბლა სდგანან, სადაც სასოფლო სამკურნალოებია. ოფიციალურ სტატისტიკიდანა სჩანს, რომ 5 წლის განმავლობაში (1894—1898) მთელს კავკასიაში ავად გახდა 191,175 კაცი, ამათგან გარდაიცვალა 72,072 კაცი. უფრო მეტი ქალაქებში დაიხოცა. ნიკოლსკის გამოანგარიშებით, ქალაქის მცხოვრებთ ემატება 6,8%, ხოლო სოფლისას—11,3%. კერძოდ შეეხო მომხსენებელი ნუხას, ორდუბათს და, საზოგადოდ, იმ ადგილებს, სადაც აბრეშუმის ამოსახვევი ქარხნებია და სთქვა, რომ ბავშვთა შრომის ექსპლოატაციამ არსად ისე არ მიიღო ფეხი, როგორც ამ ადგილებშიო. ქარხნების წყალობით ჭლექი ძალიან არის გავრცელებული. სანიტარულის მხრივ დიდად მოუწყობელ ქარხნებში პატარანნი 12 წლისაზე უმცროსებსაც კი ამუშავებენ თურმე.

თავის მოხსენებაში ნიკოლსკიმ ის აზრი წარმოსთქვა, რომ ქალაქის თვით-მართველობებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ამ საქმეს და მეტი ფული დახარჯონ. დასასრულ, ურჩია საზოგადოებას იტვირთოს სამკურნალო-სასანიტარო საქმის მოწყობა ქალაქებში. ამისთვის შუამდგომლობა უნდა აღძრას და სთხოვოს მთავრობას, ქალაქებს მეტი ფული გაადებინონ. ნიკოლსკის აზრით, ეს საქმე მთავრობამ სავალდებულო უნდა გახადოს.

ამ მოხსენების გამო ხანგრძლივი კამათი გაიმართა. ყველანი დაეთანხმნენ მომხსენებელს, რომ სამკურნალო და სასანიტარო საქმე ჩვენს ქალაქებში მართლაც უნუგეშო სურათს წარმოადგენს. მაგრამ, იმავე კრების აზრით, საზოგადოებას ამ საქმის მოწყობა უსახსრობისა გამო არ შეუძლიან. წევრთა უმრავლესობა წინააღმდეგი იყო მომხსენებლის იმ აზრისა, რომ სასანიტარო და სამკურნალო ხარჯი სავალდებულო იყოს ქალაქებისთვის. თითქმის ყველა ქალაქი ისე ღარიბ-ღატაკია, რომ ფულის გაღება არ შეუძლიანთ. საგუბერნიო ექიმმა ქიქოძემ სთქვა, რომ ხოლერობის დროს ამ სენთან საბრძოლველად ახალციხეს 500 მანეთიც კი არა ჰქონდაო. სხვა ქალაქების საქმეც ასეთივეა. სთქვეს აგრეთვე, რომ მომხსენებლის მიერ დასახელებული ნაკლულევანება საერთოა მთელის რუსეთისათვის; ექიმ სცდილობენ ამ ნაკლის აცილებას, მაგრამ უფულობისა გამო ვერაფერი გაუწყვიათო. კრების აზრით, ფულის გარდა საჭიროა ქალაქების გამოკვლევა და ამისდა მიხედვით საშუალებათა შემუშავება. კრებამ ისიც აღნიშნა, რომ ამავე საქმის (მკურნალობის მოწყობა) შემუშავება, სასოფლო-სამკურნლო საზოგადოების თხოვნით, მიენდო განსაკუთრებულ კომისიას, რომელიც თავის მოხსენებას წარუდგენს კრებას 16 იანვარს. დასასრულ კრებამ დაადგინა, დაჰბეჭდოს ბ-ნ ნიკოლსკის მოხსენება თავის გამოცემებში.

შემდეგ ბ-ნი ქიქოძე შეეხო წინა კრებაზე აღძრულ საგანს. ექ. ანანოვმა მაშინ მოხსენება წაიკითხა და განაცხადა, რომ კერძო ექიმები დაუდევრად იქცევიან და არ ატყობინებენ სამკურნალო საბჭოს ცნობებს გადამდებ სენით ავადმყოფთა შესახებაო. ქიქოძემ სთქვა, რომ ეს საყვედური უადგილო და უსამართლოა, რადგან ექიმები ყოველთვის აწვდიან ცნობებს სამკურნალო საგუბერნიო გამგეობასაო. ტფილისის ქალაქის სამკურნალო-სასანიტარო საბჭოს არა აქვს ყველა ცნობები და, საზოგადოდ, საჭიროა სასანიტარო ორგანიზაციის გაუმჯობესება ტფილისისათვის, განსაკუთრებით ღარიბთა დახმარების საქმის გაუმჯობესებაო. ამ აზრს სხვებიც დაემოწმნენ. მკურნალმა ქალმა მუხარინსკიმ სთქვა, რომ სასანიტარო ორგანიზაცია სულ არ ვარგა ტფილისში: ასე გასინჯეთ, ზოგიერთ საბჭოს ექიმის ადრესი თვით პოლიციამაც კი არ იცისო.

დასასრულ კრების თავმჯდომარეს უნდა წაეკითხა შრომა გერმანელ მეცნიერ კოხისა, მაგრამ აღარ წაიკითხა, რადგანაც ცოტა ხალხი დაესწრო კრებას. კოხს, გერმანიის მთავრობის მინდობილებით, გამოუკვლევია სახადის გაჩენისა და გავრცელების მიზეზნი. აქამდე ჰფიქრობდნენ, რომ ამ სენს აჩენს და ავრცელებს უხეირო სანიტარული პირობანი და სასმელი წყალი. კოხი უარჰყოფს თურმე ამ აზრს. ხსენებულ შრომას 16 იანვრის კრებაზე წაიკითხავენ.

ᲓᲔᲞᲔᲨᲐ

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

2 იანვარი

პეტერბურგი. მოგების ნომრებში გუშინწინდელ დეპეშაში ორი მოგებაა გამოტოვებული 5 ათას მანეთიანისა. 15.988/47 და 19.916/43.

მადრიდი. ესპანიის ელჩი კოლოგანი მაროკოდან იტყობინება, რომ ტახტის მაძიებელი ფეცს უახლოვდება, ამიტომ უცხოელებმა და კონსულებმა ქალაქიდან გასვლა გადასწყვიტეს.

კარაკასი. ვენესუელას მთავრობამ ხალხს ძალით გააწერა ორ მილიონ ბოლივარის სესხის განაღდება.

ბელგრადი. ნიშის სამაგრეების აღების დღიდან 25 წლის შესრულების გამო ბანკეტი იყო გამართული, რომელზედაც მეფემ მილანი მოიხსენია შემდეგის სიტყვებით: „მილანის საქმე უნდა გავრძელდეს. სერბიას გულ-მაგრად შეუძლია თავისს მომავალს უცქიროს, რადგან იმისი და სერბიის ხალხის საქმე სამართლიანია. ჩვენ ასაჩქარებელი არა გვაქვს-რა, ჩვენ შეგვიძლიან წინანდებურად მშვიდობიანობისა და წესიერების ელემენტად ვიქმნეთ ბალკანეთში, თუმცა გაჭირვების დროისათვის ყოველის მხრით შეიარაღებული მზად უნდა ვიქმნეთ. მთელი ქვეყნიერება იმ რწმუნებით უნდა გაიმსჭვალოს, რომ ბალკანეთში ერთ ნაჭერ მიწასაც ვერავინ ვერ მიიღებს ისე, რომ წილი არ დაუდოს სერბიას".

პარიზი. გაზ. „ეხო დე პარი" იუწყება: გენერალმა სოსიემ უარი განაცხადა უმაღლესს სამხედრო საბჭოს წევრობაზე იმიტომ, რომ სამხედრო მინისტრს არ ეთანხმება სამხედრო ბეგარის ორის წლით გადახდის საქმეში.

პეტერბურგი. დღეს პეტრე-პავლეს ტაძარში პეტრე 1-ლის საფლავს დაადვეს გვირგვინი დასდო „მბეჭდავ საქმეთა მოღვაწეთ რუსეთის საზოგადოების" დეპუტაციამ. გვირგვინზე აწერია: „პეტრე დიდს, გვირგვინოსანს დამფუძნებელს რუსულ დრო-გამოშვებით გამოცემათა 2 იანვარს 1703—1903".

—დღესასწაულის აღსანიშნავად მბეჭდავ საქმეთა საზოგადოება აარსებს და გაზეთებზე შეუდგება აშენებას სანატორიისას მბეჭდავ-მოღვაწეთათვის. რუსეთის ბიბლიოთეკოური საზოგადოება სასტამბო-სალიტერატურო კრებულს გამოსცემს საიუბილეოდ.

3 იანვარი

პეტერბურგი. გენერალ-ლეიტენანტი გრაფი სტენბოკი ინიშნება პირველ გვარდიის ქვეითა დივიზიის უფროსად.—ქალაქი მინაბი და ნავთსადგური ჯასკი სპარსეთში ხოლერის მხრით საშიშრად აღიარებულია.

მოსკოვი. 2-ს იანვარს დაიწყო საქალაქო სასწავლებელთ მასწავლებლების კრება. მონაწილეობას იღებს 250 კაცი. თავმჯდომარედ ეგოროვია. გამართულია სასწავლო ნივთთა გამოფენა. —2 იანვარს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში გაიხსნა კრება რუსეთის სასოფლო-სამეურნეო განათლების მოღვაწეთა. თავმჯდომარედ რაჩინსკია. მასწავლებელთა ურთიერთ დამხმარებელმა კრებამ სურვილი გამოსთქვა ებრალ მასწავლებელთა მდგომარეობის გაუმჯობესებისა. დაადგინეს იშუამდგომლონ, რომ ხაზინამ სკოლებს დამატებითი შემწეობა აღმოუჩინოს და აგრეთვე სახალხო სკოლათა მასწავლებლებს წლიურ ჯამაგირად 360 მან. ეძლეოდეთ, რისთვისაც საჭირო იქმნება 7,000,000 მანეთი. —2 იანვარს სინოდის სტამბამ იდღესასწაულა 200 წლის არსებობა პირველ რუსულის გაზეთის „ვედომოსტი"-სა. პარაკლისი გადაიხადა მიტროპოლიტმა, მოიხსენია პეტრე-დიდის სახელი. სენატორმა საბლერმა გადასცა უმაღლესად ნაბოძები საჩუქარი,—სტამბის მომუშავეთ ოქროს საათები. დამსწრეთ დაათვალიერეს მსწრაფლ მბეჭდავი. ხალხს დაურიგეს საიუბილეო გამოცემანი. საღამოს მოსამსახურეთათვის კონცერტი გაიმართა.

პარიზი. წყალქვეშ მავალ ნავის გამომგონი გუბე გარდაიცვალა.

ვილლემსტადი. ვენესუელას სესხის მხოლოდ მეოთხედი ნაწილი იქმნება გადახდილი იძულებულ უფლით.

ლონდონი. ბალფური ავად არის.

ბერლინი. წასვლის წინად კრონპრინცმა იმპერიის კანცლერი ინახულა და ხანგრძლივ დაჰყო მასთან.

ხარკოვი. დონეცკის მინერალურ ასანთებ მასალის გადაზიდვის სიძნელე რკინის გზის მხრივ, აფერხებს ქვა-ნახშირის წარმოებას. შესამჩნევი ნაწილი სამხრეთის ტოტისა უვარგისი აღმოჩნდა ქვა-ნახშირისა და რკინის მადნის გადასაზიდად.

კონსტანტინეპოლი. რუმელიის მთავრობებს ებრძანა შეადგინონ ბიუჯეტი ჟანდარმერიისა, რომელიც ახალის გეგმის თანახმად უნდა მოეწყოს.

ტულონი. რუსეთში ახალის წლის დადგომისა გამო „ბოიან"-ზე დიდი დღესასწაული გაიმართა.

ტანჟერი. ახალი ცნობები სანუგეშოა. უცხოეთის გაზეთების მიერ გამოქვეყნებულ ცნობების შესახებ, ვითომც მეამბოხეთაგან დამარცხებულმა სულთანმა დასავლეთისაკენ დაიწიაო, არაფერი არ იციან.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲓᲔᲒᲘ ᲪᲜᲝᲑᲐᲜᲘ

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს, 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (საპმაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 7/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვოსა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევს 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

ზორაპანამდე: საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს.21 წ.)

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ:—1) საფოსტო №33 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევს 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.).;, სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკეობით პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ:—1) ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევს 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.); 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.)

ზორაპანისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევს 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

გამოვიდა და იყიდება ყველგან
„ქართველთა შორის წ. კ. გამავ. საზოგადოების" მიერ ახლად გამოცემული წიგნები
1. პოლბერი:
ბუნების ცოდნა
26 სურათით.
თარგმანი პ. სურგულაძისა. ფასი 25 კ.
2. ი. გოგებაშვილი:
ასპინძის ომი,
ისტორიული ამბავი. ორის სურათით და ქარტით.
ფასი 7 კაპ.
წიგნების გამოწერა შეიძლება ფას-დადებით. ადრესი: Тифлисъ Общество распростр. грамотности среди грузинъ. (3—1)

წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში
იყიდება 1903 წლის
კალენდრები
1) კედ. კალენდარი ფასი 40 კ.; 2) საქართველოს კალენდარი გუნიასი—50 კ.; 3) პატარა ჯიბის კალენდარი—20 კ.
შეიძლება ფასდადებით გაიწეროთ: Тифлисъ, Грузинское Издательское Т—во, ლორისმელიქოვის ქუჩა.

ცინკოგრაფია
წიგნიბ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა
ბანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 37½.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

Дозв. ценз. Тифлисъ, 3 января, 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).